აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 23 | 1 სექტემბერი 2020 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „კულტურის მხარდაჭერის შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/101, 18.08.2020)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი	*უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი*
ავტორი	ინიციატორი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი

წამყვანი *კომიტეტი*

18.08.2020 წელი	წამყვანი კომიტეტი - 21.09.2020 წელი სხვა კომიტეტები -15.09.2020 წელი	
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი;
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი;
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი;

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

20/08/2020
N 1435

1435-09-02-11-3-202008201611

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

საკანონმდებლო პაკეტის - „კულტურის მხარდაჭერის შესახებ“ აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის კანონის პროექტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რეგლამენტის პროექტის თაობაზე

(N09-01-08/101, 18.08.2020 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა საკანონმდებლო პაკეტი - „კულტურის მხარდაჭერის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და რეგლამენტის პროექტები შეესაბამება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

გელა ღოღობერიძე

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

——/——/———

№————————

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ვლადიმერ მგალობლიშვილის საკანონმდებლო პაკეტს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს - „კულტურის მხარდაჭერის შესახებ“ და მისგან გამომდინარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

გთხოვთ, საკანონმდებლო პაკეტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

/დანართი 8 ფურცელი/

პატივისცემით, /ვლადიმერ მგალობლიშვილი/

09-01-08/101
18-08-2020
9 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონი
კულტურის მხარდაჭერის შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზნები

ამ კანონის მიზნებია:

ა) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის სფეროს მხარდაჭერის საკანონმდებლო გარანტიების უზრუნველყოფა;

ბ) კულტურის დაფინანსების მდგრადი და გამჭვირვალე მექანიზმების მხარდაჭერა;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიზნებისა და პრინციპების განსაზღვრა კულტურის მხარდაჭერის მიზნით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პრიორიტეტი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებით გათვალისწინებული ასიგნებების ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები/საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს. პრიორიტეტის ფარგლებში აგრეთვე შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებები.

ბ) კულტურის სფეროში საქმიანობა - როგორც პროფილური, ასევე მულტიფუნქციური ორგანიზაციების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საქმიანობის განხორციელება კულტურის სფეროში, რომლებიც წარმოადგენენ შემდეგ მიმართულებებს: სანახაობრივი, შემოქმედებითი, სასცენო, სამუსიკო, საშემსრულებლო, თეატრალური, სახელოვნებო განათლება. მათ შორის, არაფორმალური: სამუზეუმო, არქეოლოგიური, კინოწარმოება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სხვა მომიჯნავე საქმიანობა.

გ) სამინისტრო - აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაზეც კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონტროლს ახორციელებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

ე) კულტურის მრავალფუნქციური სივრცეები - კულტურის სახლი; კულტურის, ხელოვნების, მუსიკალური ცენტრები.

ვ) ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - მშენებლობა-რეაბილიტაცია, ტექნიკური გადაიარაღება.

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებები კულტურის სფეროში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო:

ა) განსაზღვრავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის მხარდაჭერის ძირითად მიმართულებს;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ კულტურის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტს;

გ) პერიოდულად ისმენს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ანგარიშს კულტურის მხარდაჭერის რეგიონული პოლიტიკის გატარების შესახებ.

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილებები კულტურის სფეროში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კულტურის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულების დოკუმენტს;

ბ) აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს კულტურის სფეროში;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით, მთავრობის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კულტურის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელსა და მოადგილეს, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

მუხლი 5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებები კულტურის სფეროში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო:

ა) ატარებს სახელმწიფო/რეგიონალურ პოლიტიკას კულტურის სფეროში;

ბ) შეიმუშავებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს კულტურის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულების დოკუმენტს;

გ) სახელოვნებო სფეროში მოღვაწე პირებისადმი უზრუნველყოფს საგრანტო დაფინანსებას ღია და გამჭვირვალე მექანიზმების გამოყენებით;

დ) აფუძნებს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს კულტურის სფეროში, სადაც კონკურსის საფუძველზე გამარჯვებული კანდიდატი, ოთხი წლის ვადით, ხელმძღვანელ პოზიციაზე ინიშნება მინისტრის მიერ;

ე) უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელის პოზიციის დასაკავებლად;

ვ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილია სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულების ხელმძღვანელს მისცეს წერილობითი გაფრთხილება;

ზ) უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება სისტემაში შემავალი დაწესებულების ხელმძღვანელს თუ ის ერთი წლის განმავლობაში ორ წერილობით გაფრთხილებას მიიღებს;

თ) უზრუნველყოფს კულტურის ხელმისაწვდომობას;

ი) უზრუნველყოფს კულტურის ეკონომიკის განვითარებასა და ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობას;

კ) ახორციელებს კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციასა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერას;

ლ) უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის, განვითარებისა და ეფექტური გამოყენების მხარდაჭერას კულტურის სფეროში;

მ) ახორციელებს შემოქმედებითი ინდუსტრიების ფინანსური გაძლიერების მხარდაჭერას;

ნ) უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას;

ო) უზრუნველყოფს კულტურული ტურიზმის ხელშეწყობას;

პ) უზრუნველყოფს ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების მხარდაჭერასა და განვითარებას;

ჟ) უფლებამოსილია განახორციელოს კულტურის მრავალფუნქციური სივრცეების ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებით;

რ) უზრუნველყოფს კულტურის ინტეგრაციას ციფრულ სივრცეში;

ს) ახორციელებს ინოვაციური მიმართულებების მხარდაჭერას;

ტ) ახორციელებს კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდაჭერასა და განვითარებას;

უ) ახორციელებს კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობას;

ფ) ახორცილებს კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას;

ქ) უზრუნველყოფს მუზეუმებისა და გალერეების განვითარებას;

ღ) ახორციელებს კულტურის სფეროში საგანმანათლებო საქმიანობას. მათ შორის, უმაღლესი განათლების მხარდაჭერას.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი

1. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ვრცელდება ამ კანონის ამოქმედების შემდგომ წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან არა უმეტეს ერთი წლის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს კულტურის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი.

მუხლი 7. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2020 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის მხარდაჭერის შესახებ"

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, ასევე სხვა უფლებამოსილებებს, რომელსაც ის ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის, კულტურის სფეროში.

აქედან გამომდინარე, ზემოთ დასახელებული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა ,,კულტურის მხარდაჭერის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომლის მიღებით შესაძლებელი გახდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს მხარდაჭერის სამართლებრივ - ორგანიზაციული საფუძვლების დარეგულირება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიზნებისა და პრინციპების განსაზღვრა კულტურის მხარდაჭერის მიზნით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროების, მათ შორის - კულტურის მხარდამჭერი ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის მიღებას, რაც გაზრდის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის სფეროს მხარდაჭერის საკანონმდებლო გარანტიებს; ასევე კულტურის დაფინანსების მდგრადი და გამჭვირვალე მექანიზმების მხარდაჭერასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიზნებისა და პრინციპების განსაზღვრას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 7 მუხლისაგან. პირველ მუხლში ასახულია კანონის ის მიზნები, რომელიც განსაზღვრავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის მხარდაჭერის პირობებს.

პროექტის მე-2 მუხლში განმარტებულია კანონში გამოყენებული ტერმინები.

კანონპროექტის **მე-3 მუხლი** განსაზღვრავს კულტურის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებს.

პროექტის **მე-4 მუხლი** წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფუნქციებს კულტურის სფეროში, სადაც გაწერილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსათვის დასამტკიცებლად კულტურის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის წარდგენის აუცილებლობაზე.

მე-5 მუხლში საუბარია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებებზე კულტურის სფეროში.

კანონპროექტის **მე-6 მუხლში** კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული დასკვნითი დებულებებია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება გათვალისწინებულია.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი.

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) დაემატოს შემდეგი შინაარსის 136[1] მუხლი:

„მუხლი 136[1]. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროების მხარდამჭერი ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის დამტკიცება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროების მხარდამჭერი ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი (შემდგომ - დოკუმენტი) არის მთავრობის მიერ მიღებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული სფეროების მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

2. დოკუმენტი უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობის მიერ მისი მიღებიდან 2 კვირის ვადაში.

3. უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი დოკუმენტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დოკუმენტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და განსაზღვრავს წამყვან კომიტეტს, აგრეთვე კომიტეტებს, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს დოკუმენტს. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დოკუმენტი განსახილველად გადაეცემა წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს და უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სუბიექტები განიხილავენ დოკუმენტს და მასთან დაკავშირებით მოტივირებულ დასკვნებს არა უგვიანეს 10 დღისა წარუდგენენ წამყვან კომიტეტს, რომელიც დოკუმენტს და მასთან დაკავშირებულ დასკვნებს განიხილავს პროცედურის დაწყებიდან არა უგვიანეს 14 დღისა და გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს დოკუმენტის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

5. დოკუმენტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვა მიმდინარეობს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ბათუმი,
2020 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა. ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა ,,კულტურის მხარდაჭერის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომლის მიხედვითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ უნდა შეიმუშაოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროების მხარდამჭერი ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

რეგლამენტის პროექტი მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მოქმედ ვერსიას დაემატოს 136[1] მუხლი, სადაც განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროების მხარდამჭერი ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის დამტკიცების პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი:

პროექტის თანახმად, რეგლამენტის მოქმედ ვერსიას ემატება შემდეგი შინაარსის 136[1] მუხლი:

„მუხლი 136[1]. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროების მხარდამჭერი ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის დამტკიცება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროების მხარდამჭერი ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი (შემდგომ - დოკუმენტი) არის მთავრობის მიერ მიღებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული სფეროების მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

2. დოკუმენტი უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობის მიერ მისი მიღებიდან 2 კვირის ვადაში.

3. უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი დოკუმენტი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დოკუმენტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ და განსაზღვრავს წამყვან კომიტეტს, აგრეთვე კომიტეტებს, რომელთა დასკვნებიც უნდა ერთოდეს დოკუმენტს. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დოკუმენტის განსახილველად გადაეცემა წამყვან კომიტეტს, სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს და უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სუბიექტები განიხილავენ დოკუმენტს და მასთან დაკავშირებით მოტივირებულ დასკვნებს არა უგვიანეს 10 დღისა წარუდგენენ წამყვან კომიტეტს, რომელიც დოკუმენტს და მასთან დაკავშირებულ დასკვნებს განხილვის

პროცედურის დაწყებიდან არა უგვიანეს 14 დღისა გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს დოკუმენტის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

5. დოკუმენტის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვა მიმდინარეობს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.''

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება მისი მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში:

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე (ორგანიზაციის/დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ვლადიმერ მგალობლიშვილი.